

ევროკავშირისა და რუსეთის სამეზობლო პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში

თამარ რობაქიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ევროპისმცოდნეობის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

მეცნიერების და ხელოვნების ფაკულტეტი
ევროპისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო ფავლენიშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018 წელი

განაცხადი

“როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.”

თამარ რობაქიძე

23.06.2018

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი იკვლევს ევროკავშირისა და რუსეთის მიერ გატარებულ სამეზობლო პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში. ნაშრომის ძირითადი საკვლევი თემაა დაადგინოს რა მიზანს ემსახურება რუსეთისა და ევროკავშირის მიერ არჩეული პოლიტიკა საქართველოს შემთხვევაში, როცა ორივე მხარის ინტერესები და პოლიტიკური კურსი ერთმანეთისგანაა განსხვავებული. კვლევის მიზანს წარმოადგენს განსაზღვროს რუსეთისა და ევროკავშირის პოლიტიკური სამიზნეები. პირველი მათგანი ცდილობს საზოგადოების განწყობაზე, პოლიტიკურ პარტიებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებზე გავლენის მოხდენით შეცვალოს საქართველოს პოლიტიკური კურსი და დამოკიდებულება რუსეთისადმი, მეორე კი ეხმარება ქართულ პოლიტიკურ ინსტიტუტებისა და ისთებლიშმენტს გაძლიერებაში და შესაბამისად დადებით განწყობას ქმნის საზოგადოებაზე. სწორედ ამ მოსაზრების დამტკიცება წარმოადგენს კვლევის ძირითად საკითხს, ამასთან ერთად, იმ ხერხების შესწავლა, რითაც ცდილობს ევროკავშირი და რუსეთი გაატარონ თავიანთი პოლიტიკური კურსი.

ნაშრომში მეთოდოლოგიის მხრივ ძირითადად გამოყენებულია თვისებრივი კვლევის მეთოდი და შემთხვევის შესწავლით (Case Study) ხდება წარმოდგენილი ჰიპოთეზის დამტკიცება. უმეტეს წილად, კვლევა ემყარება პირველადი და მეორადი წყაროების შესწავლას. მოსაზრებების დასამტკიცებლად იყენებს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) მიერ ყოველწიურად ჩატარებულ საზოგადოებრივი განწყობის გამოსაკითხ კვლევას, რომელიც თავის მხრივ სტრატეგიაციებისა და კლასტერინგის შერჩევის მეთოდებს ეფუძნება. პირველად წყაროებად გამოყენებულია სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ ინსტიტუციის მიერ გამოცემული დოკუმენტები და ბრძანებები, ასევე საინფორმაციო ტიპის სტატიები. მეორად წყაროებში კი გაერთიანებულია სამეცნიერო ლიტერატურა და კვლევები.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ევროკავშირის მიერ გატარებული სამეზობლო პოლიტიკა მიმართულია საქართველოში პოლიტიკური ინსტიტუტების

გამლიერებისაკენ, ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიის განვითარებაზე, რაც ევროკავშირის ძირითად რბილ ძალას ქმნის. ასეთი ქმედება დადებითად განაწყოფს მოქალაქეებს და ზრდის მხარდაჭერის მაჩვენებელს დასავლური ინსტიტუციებისადმი. დროთა განმავლობაში, ევროკავშირისადმი დადებითი განწყობის მქონე პირები ხელისუფლებაში ხვდებიან და კიდევ უფრო მეტად იბრძებიან დასავლეთთან დასახლოვებლად. იქმნება ერთგვარი წრე, რისი დარღვევაც უხეში ჩარევის გარეშე ვერ ხერხდება. რუსეთი საპირისპირო კურსს ირჩევს და ცდილობს გავლენა მოახდინოს საზოგადოების განწყობაზე მედიის, პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების გამოყენებით. რბილი ძალის მეშვეობით ერთვება ქართულ პოლიტიკასა და ეკონომიკაში. თუმცა ამ ცდებებს ეღობება დასავლური სტილით განვითარებული პოლიტიკური ინსტიტუციები, რაც არ აძლევს მმართველობაში მოსვლის საშუალებას. რუსული ძალები ვერ ახერხებენ ამ წრის გარღვევას და რეალური ცვლილებების მოხდენას. ამ მოსაზრებას ადასტურებს ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ყოველწლიური გამოკითხვა საზოგადოებრივი განწყობის შესახებ. წლების განმავლობაში იცვლებოდა როგორც რუსეთისადმი, ასევე ევროკავშირისადმი დამოკიდებულება, თუმცა, რუსეთს მოსახლეობის საშუალოდ 20-24%, ხოლო ევროკავშირს - 75-80% უჭერს მხარს¹.

საკვანძო ტერმინები: ევროკავშირი, რუსეთი, რბილი ძალა, საქართველოსთან ურთიერთობა, სამეზობლო პოლიტიკა.

¹ NDI Georgia. *Overview*. (20.05.2018) <https://www.ndi.org/eurasia/georgia>

Abstract

The main task for this thesis is studying neighborhood policy for European Union and Russia towards Georgia. Thesis tries to find out the goals of EU and Russia policy. Both sides have different interests and different political course to gain these interests. The aim of research is to study Russia and EU political targets. First one tries to change Georgian policy by influence of society, political parties and NGO. The second one helps to strengthen Georgia its political institutions and establishment and make positive attitudes towards society. Approval of this opinion is aim of the thesis and studying the method which are used to pursue policy of EU and Russia.

The main methodology for thesis is qualitative research and case study for pursuing of hypothesis. Mostly are used primary and secondary sources for research. For approving of hypothesis is used research of National Democratic Institution (NDI). NDI use stratification and selection of clustering method for its researches. As the primary sources are used the documents and commands published by different organizations or institutions, as well as news type articles. Secondary sources include scientific literature and research.

According result of the survey, the European Neighborhood Policy aims to strengthen political institutions in Georgia, develop human rights and democracy level. For EU this soft power and it helps to make close relationship with Georgia. Such kind of action poses positively to citizens and increases support level for the EU. Step by step positive attitude citizens (EU towards) come to government and they do their best for EU membership. There is made circle, which is strong and difficult for destroying. Russia chooses the opposite side and attempts to influence on public opinion by using media, political parties and NGOs. Russia tries to get involved in politics and economy of Georgia with support of soft power. However, these steps are embedded by Western-style political institutions and they do not give them chance to come to power. Russian forces are unable to break this circle and have no real chance. This opinion is confirmed by an annual survey conducted by the National Democratic Institute about Public Attitudes.

Key Words: European Union, Russia, Soft Power. Relationship with Georgia, Neighborhood Policy.